საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მოწვევა სატენდერო წინადადების წარმოდგენაზე

საქართველო

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი

ქ. გორში ათი სპორტული მინი მოედნის რეაბილიტაცია

პროექტის ნომერი: P147521

კონტრაქტის/ტენდერის #: SRMIDP/CW/NCB/35-2017

საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკისაგან (The World Bank) დაფინანსება **რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის** განსახორციელებლად და განზრახული აქვს ამ სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის: **„ქ. გორში ათი სპორტული მინი მოედნის რეაბილიტაცია“**

სარეაბილიტაციო ობიექტები მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის რეგიონში, ქ. გორში თბილისიდან დასავლეთით 80 კმ მანძილზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-გორის დამაკავშირებელი საავტომობილო გზით.

ქ. გორში, სპორტული მინი მოედნების სარეაბილიტაციო პროექტით გათვალისწინებულია ქ. გორის სხვადასხვა უბნებში არსებული 10 სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
არსებულ მოედანზე (სამ მოედანზე), განლაგებულია ადმინისტრაციული ერთსართულიანი აგურის შენობა; ფეხბურთის (ასფალტის საფარზე, 9 მოედანი), კალათბურთის (ასფალტის საფარზე, 5 მოედანი) და ფრენბურთის (გრუნტის საფარზე, 3 მოედანი) მოედნები. სპორტული მოედანი შემოღობილია ფოლადის მილებზე კუთხოვანაში ჩასმული მავთულ-ბადით. სპორტული მოედნის განათება მოწყობილია და დაერთებულია ქალაქის განათების ქსელზე. მოედნების მიმდებარედ 5 ადგილას მოწყობილია დასასვენებელი სკვერი.

ადმინისტრაციული შენობა - წარმოდგენილია სამი ოთახის და ოთხი სველი წერტილისგან, რომელიც დაერთებულია ქალაქის ქსელზე. შენობა კონსტრუქციულად მდგრადია. სახურავი ნაწილობრივ დაზიანებულია, ოთახებში დაზიანებულია ნალესი, მთლიანად ჩამოშლილია შეკიდული ჭერი და დათბუნება, დაზიანებულია იატაკი. სველ წერტილებში დამტვრეულია ხელსაბანის და უნიტაზის ნიჟარები, დამტვრეულია მეტლახი და კაფელი, დაზიანებულია კარ-ფანჯრები.
ფეხბურთის მოედანი – დეფორმირებული ასფალტობეტონის საფარი, შეინიშნება ბზარები. დაზიანებულია ფეხბურთის კარები.
კალათბურთის მოედანი – დეფორმირებული ასფალტობეტონის საფარი, შეინიშნება ბზარები. დაზიანებულია კალათბურთის ფარები.
ფრენბურთის მოედანი – არ არის ფრენბურთის ბადე, ბადის დამჭერი დგარები. გრუნტის მოედანზე შეინიშნება ორმოები.
შემოღობვის რკინის კონსტრუქცია - შემოღობვის რკინის კონსტრუქციის საყრდენი ბოძები ნაწილობრივ გადახრილია, ფუნდამენტი და ზეძირკველი დეფორმირებული, კუთხოვანაში ჩასმული ლითონის ბადე ამორტიზირებულია. შესასვლელი კარი დაზიანებულია.
გარე განათება – დაზიანებულია ელმომარაგების ხაზი სატრანსფორმატორო ქვესადგურში დამონტაჟებული მრიცხველიდან სპორტულ მოედნამდე. დაზიანებულია განათების კაბელი და

დიოდური სანათები. დაზიანებულია ელმომარაგების ხაზი განათების ბოძიდან სპორტულ მოედნამდე.
ტრიბუნები - ამორტიზირებულია როგორც ლითონის ასევე ხის კონსტრუქციები.

საპროექტო ღონისძიებებით გათვალისწინებულია:

ადმინისტრაციული შენობა – სახურავის რეაბილიტაცია. შეკიდული ჭერის მოწყობა. კედლების შელესვა და შეფითხვნა, შეღებვა. მეტალოპლასმასის ფანჯრებისა და კარების მონტაჟი. სველი წერტილების აღდგენა. კაფელის და მეტლახის მოწყობა. შიდა განათების ქსელის აღდგენა.
ფეხბურთის მოედანი – დეფორმირებული ასფალტობეტონის საფარის დემონტაჟი და გატანა. მოედნის საფარის მოწყობა ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახით ქეჩის საფენზე. მოედანზე კონტურების დახაზვა თეთრი ფერის ბალახის რულონით. FIFA-ს რეგულაციების შესაბამისად ტესტირებული ფეხბურთის წყვილი კარი 3X2მ ძელი დ=80მმ. პოლიეთილენის ბადის უჯრედით 100X100მმ მონტაჟი. ტრიბუნების მოწყობა ცეცხლგამძლე ზურგიანი ლურჯი ფერის პლასტმასის სკამები ლითონის კარკასზე. ტრიბუნების ქვეშ საფარი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონით, სისქით 3სმ.
კალათბურთის და ფრენბურთის მოედანი – დეფორმირებული ასფალტო-ბეტონის საფარის დემონტაჟი და საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით, სისქით 5სმ. FIFA-ს რეგულაციების შესაბამისად ტესტირებული კალათბურთის ფარის (გარე გამოყენების) მონტაჟი. ტრიბუნების მოწყობა ცეცხლგამძლე ზურგიანი ლურჯი ფერის პლასტმასის სკამები ლითონის კარკასზე.
გარე განათება – საყრდენი ბოძების მოწყობა ლითონის მილკვადრატით 120X120X3მმ სიგრძით 8მ. ელმომარაგების მოწყობა (არსებულ განათების ბოძებზე) სატრანსფორმატორო ქვესადგურში არსებული მრიცხველიდან სპორტულ მოედნამდე. ძალოვანი კაბელების გამოცვლა, ლითონის საყრდენ ბოძებზე დამიწების მოწყობა. დიოდური სანათების შეძენა მოწყობა.
შემოღობვის მოწყობა – არსებული ლითონის ბოძებისა და კუთხოვანაში ჩასმული მავთულბადის დემონტაჟი. არსებული ზეძირკვლის დემონტაჟი. ახალი რკინაბეტონის ზეძირკვლის მოწყობა. შემოღობვის ბოძების მოწყობა (მილკვადრატით 80X80X3მმ). ღობის მოწყობა პლასტმასის გარსით დაფარული 4მმ პვც მავთულბადით, უჯრა 6X6სმ. ბაგირის დამჭიმით და სამაგრებით.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოების მოცულობებია:

1. მონოლითური რკ.ბეტონის კონსტრუქციების მოწყობა - 39.6 მ^3; (თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #4 თავისა.)
2. ლითონის კონსტრუქციების მოწყობა- 49.14 ტ; (თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #5 თავისა.)
3. ბოჭკოვანი ხელოვნური ბალახის საფარი - 8325.4 კვ.მ. (თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, იხ. ნახაზი 5-5-1))
4. წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის საფარი - 15404.8 კვ.მ; (თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, იხ. ნახაზი 5-5-1)
5. მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების მოწყობა - 53.9 მ^2; (თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #11 თავისა.)
6. სახურავის საფარის მოწყობა ონდოლინით - 171.0 მ^2 (თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #8 თავისა.)
7. იატაკების მოწყობა მეტლახით - 109.0 მ^2; (თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, ზოგადი სპეციფიკაციების #9 თავისა.)
8. გარე განათების ლამპიონების მოწყობა - 57 ც (თანახმად, მაგრამ არ შემოიფარგლება, იხ. ნახაზი 4-5-1)

სამუშაოების ხანგრძლივობაა 6 (ექვსი) თვე სამუშაოების დაწყებიდან.

საკვალიფიკაციო მოთხოვნათა შორის არის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

ა) კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა დაანგარიშებული მიმდინარე ან დასრულებული კონტრაქტების ერთობლივი დადასტურებული გადახდებიდან, ბოლო სამი (3) წლის (2013, 2014, 2015 წწ.) განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 2,200,000 ლარის ექვივალენტი;

ბ) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ან არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, როგორიცაა ლიკვიდური აქტივები, დაუგირავებელი უძრავი ქონება, საკრედიტო ხაზები და სხვა ფინანსური რესურსები, გარდა სხვა საკონტრაქტო საავანსო თანხებისა, მინიმუმ 360,000 ლარის ექვივალენტის ოდენობით;

გ) ხელმისაწვდომი წლიური შესაძლებლობა არანაკლებ 1,500,000 ლარისა;

დ) კონკურსანტს 2011 წლის 1 იანვრიდან განაცხადის წარდგენის ბოლო თარიღამდე წარმატებულად უნდა ჰქონდეს დასრულებული მინიმუმ ერთი (1) მსგავსი სახის სამუშაოების კონტრაქტი, როგორც კონტრაქტორის, მმართველი კონტრაქტორის, ან ქვე-კონტრაქტორის სახით არანაკლებ 1,200,000 ლარის ექვივალენტის ღირებულებით, ან 3 (სამი) ან ნაკლები კონტრაქტი (აღნიშნული ხასიათის), თითოეული არანაკლებ 400,000 ლარის ექვივალენტის ღირებულებით, მაგრამ ჯამურად არანაკლებ 1,200,000 ლარის ექვივალენტის ღირებულებით.

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს განახორციელონ „ **ქ. გორში ათი სპორტული მინი მოედნის რეაბილიტაცია“**

2. კონკურსი ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2011 წლის იანვარში გამოცემული და 2014 წლის ივლისში განახლებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებითა და გრანტებით განხორციელებული საქონლის, სამუშაოების და არასაკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა უფლებამოსილ მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში მოცემული განსაზღვრების შესაბამისად. აგრეთვე, გთხოვთ იხილოთ ზემოაღნიშნული მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო დებულების პარაგრაფები 1.6 და 1.7, რომელიც ეხება ინტერსთა კონფლიქტს.

3. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

4. საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია ვადით: 1 (ერთი) წელი სატენდერო წინადადებების გახსნის დღიდან.